



N 21/5338
16/09/2022

5338-21-2-202209161147



ი/მ თეიმურაზ კუხიანიძეს

მის: ქ. ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №26

ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3886 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №7-ში, მეორადი პოლიეთილენის პარკების (ნარჩენების აღდგენა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები და დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, საწარმოს ნედლეულით მომარაგების თავში აღნიშნულია, რომ „დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 5%“, თუმცა ტექნოლოგიური აღწერის თავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად „დაქუცმაცებისას დანაკარგი არის დაახლოებით 10%“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი. ამასთან, მიზანშეწონილია კომპანიის მხრიდან მოხდეს საწარმოო ნარჩენის (პოლიმერული მტვერი) დაჭერა და შესაძლებლობის შემთხვევაში მისი ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. იმ შემთხვევაში თუ მოცემული ნარჩენის გამოყენება შეუძლებელია, შემდგომი მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსითა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
- საპროექტო ტერიტორიიდან 200 მეტრში განთავსებულია ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის კუთვნილი მეორადი პოლიეთილენის (დანაწევრებული თოკები) გადამამუშავებელი საწარმო. შესაბამისად, დოკუმენტში შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

